მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასება

კვლევითი პროექტის ანგარიში

2017

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასება

შეფასება ეფუძნება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის 2017 წლის სქემას„ და ფოკუს-ჯგუფებიდან და ინტერვიუებიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზს.

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა კოალიცა „განათლება ყველასათვის საქართველოსა“ და სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის ერთობლივი პროექტის „განათლება ყველასათვის„ ფარგლებში, Global Campaign for Education (GCE) - ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის პროცესში მონაწილეობდნენ:

მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაცია

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი

ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია

ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია

ასოციაცია „ბიო“

2017 წ.

შინაარსი

შესავალი....4
მეთოდოლოგია....4
ცხრილი 1: კვლევის ჩატარების განრიგი და მონაწილეთა რაოდენობა....5
ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების შედეგების მიმოხილვა....6
კვლევის შედეგები....6
– განვითარების შესაძლებლობა....6
– დაგეგმვა და დროის მართვა....7
– გარე აქტივობები....8
– დამოკიდებულებები....9
– მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და რესურსებით უზრუნველყოფა....10
– სკოლის მზაობა სქემის ადმინისტრირებისთვის....12
– პროფესიული განვითარების პროგრამები....13
– კლასების ზომა....14
– კოლეგიალური თანამშრომლობა....14
სქემის ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები....14
რეკომენდაციები და გაუმჯობესების გზები....19
– სქემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული კომპეტენციები....20
– შრომის ანაზღაურება და სკოლის დაფინანსება....20
–პედაგოგების ჩანაცვლება....21
– სტატუსის მინიჭება და კრედიტების დაგროვების სისტემა....21
– ხელშეწყობა პროფესიულ განვითარებაში....21
– რესურსებით უზრუნველყოფა....21
– მასწავლებლის შეფასება....22
შეჯამება....23
კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო"....24

შესავალი

მასწავლებელთა სისტემური პროფესიული განვითარების მიზნით 2015 წლის 19 თებერვალს მთავრობის სხდომაზე მარეგულირებელ დოკუმენტთან ერთად დამტკიცდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომელიც თავდაპირველად საპილოტე იყო და პედაგოგების ჩართულობა მასში არჩევითი გზით ხდებოდა. სქემა მასწავლებლის პროფესიის სახელმწიფო რეგულირების საფუძველია და მისი მთავარი ამოცანა, მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლების გზით, სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. სქემის ფარგლებში მასწავლებლები ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას ადგენენ, აფასებენ საკუთარ საქმიანობას და პროფესიული საჭიროებების ანალიზს აკეთებენ.

2017 წელს სქემაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა - გაიზარდა იმ აქტივობების ჩამონათვალი, რომელთა გავლის შედეგად მასწავლებელს კრედიტის მოპოვება შეუძლია. მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო პრაქტიკოს მასწავლებლებსაც, რომლებიც ახალი სქემით სტატუსს უვადოდ ინარჩუნებენ.

ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით „კოალიცია - განათლება ყველასათვის - საქართველო“-მ თავისი პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის მაის - ივლისში, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა შეაფასა.[1] კვლევის მიზანი სქემაში 2017 წელს შეტანილი ცვლილებების შეფასება და იმის გაანალიზებაა, თუ რამდენად პრაქტიკულია მათი განხორციელება და ადმინისტრირება. შეფასება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის 2017 წლის სქემასა“ და ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებულ მონაცემთა ანალიზს ეფუძნება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით სქემაში არსებული ხარვეზები გამოვლინდა და მისი გაუმჯობესებისათვის საჭირო რეკომენდაციები შემუშავდა.

შეფასება ოთხი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას მოიცავს; მეორე ნაწილში კვლევის ძირითადი მიგნებები და შედეგებია წარმოდგენილი; მესამე ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგების შეჯამება, ხოლო მეოთხე ნაწილში - დასკვნები და რეკომენდაციები სქემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მეთოდოლოგია

კვლევის დროს თვისობრივი კვლევის ფოკუს-ჯგუფის მეთოდი იყო გამოყენებული. დისკუსიები ისე წარიმართა, რომ მონაწილე მასწავლებლებს არსებული პრობლემატური

1 *კოალიცია წევრია გლობალური კამპანია განათლებისთვის, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო მოძრაობაა და რომლის მისიაა, ზეგავლენა მოახდინოს მთავრობებზე, რათა მათ უზრუნველყონ თითოეულის უფლების - მიიღოს ხარისხიანი განათლება - რეალიზება. საერთაშორისო კოალიცია იუნესკოს ეგიდით მოქმედებს, „განათლება ყველასათვის“ დეკლარაციის ფარგლებში.*

საკითხების იდენტიფიცირება მოეხდინათ და მათი აღმოფხვრის გზებზე ემსჯელათ. შესაბამისად, სადისკუსიო გეგმაში კითხვები მაქსიმალურად ზოგადი სახით იყო ფორმულირებული, ხოლო დისკუსიისას ეს შეკითხვები უფრო კონკრეტდებოდა იმ საკითხთა გარშემო, რომელთა იდენტიფიცირებაც წინასწარ, სადისკუსიო კითხვარის შედგენისას მოხდა. კვლევის მიზნების გათვალისწინებით, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა იმ ადმინისტრაციულ და შინაარსობრივ გამოწვევებზე ისაუბრეს, რომელთა წინაშეც მათ სქემა აყენებს. გარდა ამისა იმსჯელეს ისეთ საკითხებზეც, როგორიც მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესსა და გაკვეთილის გარე აქტივობებს შორის დროის განაწილებაა. რესპონდენტებმა აღნიშნეს, თუ რამდენად თანხვედრია იგი მასწავლებლის ყოველდღიურ საქმიანობასთან და სამუშაო საათებთან; იმსჯელეს ასევე სქემის უპირატესობებზე, ნაკლოვანებებზე და მისი დახვეწის გზებზე.

იმისათვის, რომ რესპონდენტებს სქემის ირგვლივ საკითხებზე გულახდილად ესაუბრათ, დისკუსიის დაწყებამდე განემარტათ, რომ გამოკითხვა კონფიდენციალურია. შესაბამისად, გამოკითხულთა ვინაობა ან სხვა ინფორმაცია, რომლითაც რესპონდენტთა იდენტიფიცირება გახდებოდა შესაძლებელი, კვლევის ანგარიშში არ შევიდოდა.

დისკუსიები მასწავლებელთა სხვადასხვა ასოციაციების ხელშეწყობით განხორციელდა. ეს ასოციაციები აქტიურად მუშაობენ და კარგად არიან გათვითცნობიერებული სქემის პრობლემატურ საკითხებში, პედაგოგთა საქმიანობის სპეციფიკასა და სირთულეებში (ცხრილი 1).

ცხრილი 1: კვლევის ჩატარების განრიგი და მონაწილეთა რაოდენობა

	თარიღი	ადგილი	ასოციაცია	რაოდენობა
1	20.05.2017	გორი	ბიოლოგთა ასოციაცია	10
2	21.05.2017	ქუთაისი	ბიოლოგთა ასოციაცია	10
3	27.05.2017	თბილისი	ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია	14
4	28.05.2017	ახალციხე	ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაცია	11
5	3.06.2017	მარნეული	ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია	11
6	4.06.2017	თელავი	ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია	13
7	10.06.2017	ბათუმი	მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაცია	13
8	11.06.2017	ზუგდიდი	მათემატიკის მასწავლებელთა ასოციაცია	14
9	17.06.2017	თბილისი	სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი	9
10	18.06.2017	თბილისი	სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი	8
11	21.06.2017	ბათუმი	სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი	12

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების შედეგების მიმოხილვა

დისკუსიაზე ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა თავიანთ მოლოდინებზე ისაუბრეს - თუ როგორ შეცვლის სქემაში ჩართულობა დროის განაწილების საკითხს საგაკვეთილო პროცესსა და გაკვეთილის გარე აქტივობებს შორის. ასევე პედაგოგებმა იმსჯელეს, თუ რამდენადაა სკოლები მზად იმისათვის, რომ მასწავლებლებმა სქემით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება შეძლონ. დისკუსია გაიმართა, ასევე, უშუალოდ სქემის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. პედაგოგებმა გამოთქვეს მოსაზრებები, თუ როგორ შეიძლება სქემის შემდგომი გაუმჯობესება პედაგოგების სისტემური პროფესიული განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. ქვემოთ დეტალურადაა მიმოხილული მასწავლებელთა სამივე ჯგუფის დამოკიდებულება და მოლოდინები სქემასთან დაკავშირებით. გამოთქმული მოსაზრებები ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებს ეკუთვნის.

კვლევის შედეგები

რესპონდენტების აზრით, სქემაში ჩართულობა საგაკვეთილო პროცესზე დადებითად აისახება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მასწავლებელი გაკვეთილს წინასწარ გეგმავს, ამზადებს მასალებს და უფრო ორგანიზებული ხდება. შესაბამისად, საგაკვეთილო პროცესიც ბევრად სისტემური იქნება და გაკვეთილი გამრავალფეროვნდება. მეორე მხრივ, მასწავლებლები გარე აქტივობებში ჩართავენ მოსწავლეებს, რაც მათ განვითარებას შეუწყობს ხელს. თუმცა უკმაყოფილებას იწვევს მთელი რიგი რუტინული სამუშაო, რომელიც, მასწავლებლების თქმით, მოსწავლესთან მეტი ურთიერთობისთვის დროს აღარ ტოვებს.

– განვითარების შესაძლებლობა

მასწავლებელთა განცხადებით, სქემა მათ განვითარებისა და სტატუსის ამაღლების საშუალებას აძლევს. იგი ასევე სტიმულია გამგეობებთან თანამშრომლობისა და პროფესიულ ასოციაციებში ჩართვისათვის. მათი შრომა აღრიცხულია. პედაგოგები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მათი პროფესიული განვითარება საგნის ცოდნას კი არა, სწავლების მეთოდების დახვეწას ითვალისწინებს, რის საშუალებასაც მათ სქემა აძლევს:

„მასწავლებლის პროფესიული განვითარება არაა საგნის ცოდნა, არამედ ის, თუ როგორ უნდა ასწავლო და სქემა გვაძლევს ამის საშუალებას. კატეგორიებად დაყოფა მომეწონა, რადგან მოხდება სწორი გამიჯვნა. პედაგოგმა უნდა მეტი აკეთოს და მიიღოს კიდეც“.

– დაგეგმვა და დროის მართვა

გამოითქვა მოსაზრება, რომ ახალ სქემაში ჩართვა პედაგოგის მიერ დროის სწორ განაწილებას შეუწყობს ხელს და თითოეული მასწავლებლის საქმიანობას გააააქტიურებს. სქემა მასწავლებელს მოდუნების საშუალებას არ აძლევს და ის უფრო ორიენტირებულია წარმატებაზე. ფოკუს-ჯგუფების მონაწილე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სქემაში ჩართულობა მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყობს ხელს:

„ჩემი აზრით, ეს აუცილებლად მოახდენს სწავლების ხარისხის ამაღლებას, სწავლების ხარისხი ამაღლდება სკოლაში ორივე მიმართულებით. ეს ეხება, როგორც შიდა, ასევე გარე აქტივობებს. გარე აქტივობები იყო სკოლაში, მაგრამ არ იყო დაგეგმილი ასე. კარგი დაგეგმვა კარგი შესრულების საწინდარია. სასწავლო პროცესის წარმატებისათვის საჭიროა ორივე აქტივობის ერთობლივად დაგეგმვა და ჩატარება, რადგან ამით საჭირო უნარებს იძენენ მასწავლებელიცა და მოსწავლეც. პედაგოგი, შესაბამისად, ამაღლდება კვალიფიკაციით“.

დროის მენეჯმენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის დასაგეგმად. მასწავლებელს გათვლილი აქვს ყოველი წუთი, რაც მოსწავლეს მოდუნების საშუალებას არ აძლევს და დრო ფუჭად არ იკარგება. მეორე მხრივ, მოსწავლეები სვამენ შეკითხვებს და ითხოვენ ფართო, ამომწურავ პასუხებს, მაგრამ საგაკვეთილო დრო მკაცრად არის განსაზღვრული. ამ მხრივ მასწავლებლები სირთულეს აწყდებიან. როგორც მათ აღნიშნეს, წინასწარ დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესის მიუხედავად, ყოფილა შემთხვევები, როცა ბავშვების კითხვებზე საპასუხოდ დრო არ ეყოთ. ფიქრობენ, რომ მოსწავლეს მოტივაცია დაეკარგება, თუ მის კითხვას, შეზღუდული დროის გამო, გაკვეთილზე ვერ განიხილავენ:

„თუ ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა თავისუფალი პიროვნების აღზრდა, მე - პედაგოგი - თვითონაც უნდა ვიყო თავისუფალი. სქემა სქემაში მაქცევს. როდესაც გაკვეთილის პირველ ფაზაში ვარ, შეიძლება ბავშვმა ისეთი კითხვა დასვას, რომ მე უკვე ველარ გადავალ მეორე ფაზაში. არადა, დამკვირვებელი გეტყვის, რომ ვერ გადახვედი (წუთებშია ეს ყველაფერი გათვლილი). ხდება გაკვეთილის არაადეკვატური შეფასება და მოსწავლესაც ვერ გასცემ წესიერად კითხვაზე პასუხს“.

– გარე აქტივობები

დისკუსიის მონაწილეთა თქმით, ახალი სქემა, გარე აქტივობების თვალსაზრისით, მრავალფეროვანია და პედაგოგებს ფართო ასპარეზს უქმნის. ისეთი გარე აქტივობები, როგორიცაა თემთან, მშობლებთან ურთიერთობა, საკლუბო და საპროექტო მუშაობა, პედაგოგს გაკვეთილის გარეთ შემოქმედებითი მუშაობის საშუალებას აძლევს. ამ გზით კრედიტის მიღება დამატებითი მოტივაციაა მასწავლებლებისთვის. გარდა ამისა, პედაგოგები დადებითად მიიჩნევენ იმასაც, რომ მოსწავლეს გარე აქტივობებში საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების გამოცდის საშუალება აქვს:

„გარე აქტივობები საგანს ავსებს და ახალ დამოკიდებულებებს (მოსწავლესა და მასწავლებელს შორის) აჩენს... აქცენტი გადატანილია პრაქტიკულ საქმიანობაზე. გაკვეთილზე მიღებული ცოდნა პრაქტიკაში უნდა განახორციელონ, თუ გინდა, რომ მოქალაქე გაზარდო. ჩვენი სტანდარტი არის საზოგადოებისთვის აქტიური მოქალაქის გაზრდა და თუ ასეთი მოქალაქე უნდა გაზარდო, პროცესებმა ერთმანეთი უნდა შეავსოს“.

მეორე მხრივ, რესპონდენტების აზრით, გარე აქტივობის შესაფასებლად ძალიან ბევრი საბუთია შესაგროვებელი, რაც დროის დიდ რესურსს მოითხოვს. შესაბამისად, მასწავლებლისთვის აუცილებელია, რაციონალურად დაგეგმოს და დროში გაწეროს აქტივობები.

„შეცვლის, დადებითი მოტივაცია იქნება, რადგან მასწავლებელი კრედიტ-ქულის მოსაპოვებლად უფრო მეტს იშრომებს, რადგან ეს გახდება სავალდებულო. მართალია, მასწავლებელი აქამდეც შრომობდა, მაგრამ ატვირთვას როცა გვთხოვენ, ჩვენ უფრო მეტად ვმობილიზდებით. ეს გამოიწვევს მოსწავლის მოტივირებასაც, რადგან მასწავლებელი მოსწავლის გარეშე წარმატებული ვერ გახდება. ვფიქრობ, ეს ყველაფერი უკეთესობისკენ წაიყვანს სკოლას“.

პედაგოგები გარე აქტივობების მიმართ დადებითად აღმოჩნდნენ განწყობილნი და მოლოდინი აქვთ, რომ მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, მასწავლებელი ერთი მიმართულებით არ შეფასდება. მათ მოსწონთ, რომ ამ პროცესში მოსწავლეებიც არიან ჩართული, რაც სოციალური უნარების განვითარებაში ეხმარება მოზარდებს. პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ სასწავლო პროცესსა და აქტივობებში მოსწავლის ჩართულობა მიღებული ცოდნის პრაქტიკული განხორციელებაა და განვლილი მასალა ასე უკეთ ამახსოვრდებათ. ეს კი უფრო ავითარებს მოსწავლეებს. თუმცა, როგორც რამდენიმე პედაგოგმა აღნიშნა, აქტივობის დაგეგმვა, გადანაწილება, ბავშვთა ინფორმირება გაკვეთი-

ლის დროს ხდება ხოლმე და ეს დრო საგაკვეთილო პროცესს აკლდება. მეორე მხრივ კი, როცა აქტივობა დამატებითი საათების ხარჯზე ტარდება, სკოლაში ბავშვების დიდი ხნით დარჩენას მშობლები აპროტესტებენ. მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ ყველა მასწავლებელს აქტიური მოსწავლის ჩართვა სურს გარე აქტივობაში და ასეთ მოსწავლეებზე პირდაპირ „ნადირობა აქვთ გამოცხადებული“.

– დამოკიდებულებები

მონაწილე პედაგოგებიდან ზოგიერთი ახალი სქემის მიმართ სკეპტიკურად აღმოჩნდა განწყობილი. მათი აზრით, პროფესიული ზრდა სხვა კუთხით უნდა ხდებოდეს, რადგან მასწავლებლები, სინამდვილეში, ორიენტირებულნი არიან კრედიტებზე და არა პროფესიულ ზრდაზე. როგორც რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, სქემაში ჩართულობა პედაგოგს აიძულებს, დიდი დრო დაუთმოს ორგანიზაციულ საკითხებს და ამ პროცესს მათ „ქაღალდომანია“ უწოდეს:

„მე არ მჯერა, რომ ყველა მასწავლებელი ასწრებს და ახერხებს წინასწარ გაკვეთილის დაგეგმვას, ეს შეუძლებელია ჩვენს პირობებში. სქემა გაიძულებს, რომ განვითარდე, ეს კარგია. ხოლო რაც შეეხება კრედიტების დაგროვებას, ეს ძალიან მძიმე შესასრულებელია. კრედიტის დაგროვება ესაა ორიენტაცია იმაზე, რომ საქმე სწრაფად გააკეთო და უხარისხოდ, რათა მოასწრო და არა თუ შინაარსობრივად გაწერო, არამედ ბავშვამდე მიიტანო. ფაქტობრივად, ბავშვი გვრჩება ყურადღების მიღმა“.

პედაგოგების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ გარე აქტივობების გამო დრო სასწავლო პროცესს აკლდება, რადგან მასწავლებლების მთავარი ორიენტირი კრედიტების დაგროვება და სამსახურის შენარჩუნებაა.

ამ მოსაზრებას არ იზიარებს პედაგოგთა მცირე ნაწილი, მათ მიაჩნიათ, რომ სქემა მასწავლებელს არათუ ხელს არ უშლის, არამედ ეხმარება, გახდეს მოსწავლეზე ორიენტირებული:

„ჩემს შემთხვევაში ასე არ ყოფილა, რადგან ისეთი პროექტები განვახორციელე, რომელშიც თვითონ მოსწავლეები მყავდა ჩართული და როცა კონფერენციაში ვღებულობდი მონაწილეობას, ასევე ჩემს მოსწავლეებსაც მივაღებინე მონაწილეობა; და ამ მხრივ ჩემს პროფესიულ განვითარებას თან სდევდა მოსწავლეთა პროფესიული განვითარებაც“.

თუმცა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ერთხმად აღიარებდნენ, რომ სქემაში ჩართულობა ბევრ რუტინულ საქმიანობას მოითხოვს, მათ შორის რეფლექსიების წერაც და ამას დიდი დრო მიაქვს:

„ვერ დაგეთანხმებით, რადგან სასწავლო გარემოზე ნაკლებად ორიენტირებული თუ გავხდებით, სქემის პირობას ვერ დავაკმაყოფილებთ. აქტივობები ისე უნდა გვქონდეს გადანაწილებული, რასაც სქემა მოითხოვს. ეს სწორედ გულისხმობს ბავშვზე ორიენტირებას. ამიტომ რეალურად თუ იმ აქტივობებს გაივლი, უფრო მეტად ხდები ბავშვზე ორიენტირებული. რეალურად, შეიძლება მასწავლებელს რუტინული სამუშაოები აკლებდეს დროს“.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სქემა ნელ-ნელა იხვეწება და კიდევ ბევრი ცვლილების მოლოდინი აქვთ. ისინი ფიქრობენ, რომ ასე იგი უფრო მოქნილი და ყველა სპეციალობის პედაგოგზე მორგებული გახდება:

„ველოდები, რომ პედაგოგმა იმაზე იმუშაოს, რომ გაკვეთილი იყოს შედეგიანი და არა იმაზე - კრედიტი როგორ მოაგროვოს. კრედიტის მოგროვება აბსოლუტურად სხვა რაღაცაა და საგაკვეთილო პროცესი სხვა. სამოდელო გაკვეთილი, რასაც იღებენ, ეს შიდა და გარე დაკვირვება, არის თეატრალური სანახაობა, რომელიც არაფერზე არ არის გათვლილი. შეიძლება, მე ერთი გაკვეთილი არაჩვეულებრივად დავდგა, მაგრამ ჩემი საქმიანობა საერთო ჯამში იყოს წარუმატებელი. მოსწავლეზე უნდა იყოს ორიენტირებული და გათვლილი ის სქემა, რომელსაც მასწავლებელს დაუდებენ“.

– მატერიალურ -ტექნიკური ბაზა და რესურსებით უზრუნველყოფა

მასწავლებლების აზრით, სქემა ქართულ რეალობას არ ერგება და ის, უბრალოდ, გადმოღებულია სხვა ქვეყნის გამოცდილებიდან. დისკუსიების დროს გამოიკვეთა, რომ ბევრი სკოლა მზად არ არის სქემის განხორციელებისთვის: პრობლემებია მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით. სკოლებს არა აქვთ საკმარისი საგნობრივი რესურსები, ტექნიკური და ფინანსური საშუალებები, რათა მასწავლებელი ახალი სქემით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოერგოს. მონაწილეების თქმით, საკლასო ოთახები აღჭურვილი არ არის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით და ეს პედაგოგებს პრობლემებს უქმნის. მასწავლებლების თქმით, განათლების სისტემის შენება და რეფორმაცია არ უნდა იწყებოდეს პედაგოგებით, არამედ ინფრასტრუქტურისა და შიდა მოწყობილობების განვითარებით, რათა დაგეგმილი აქტივობები სკოლის ხელთ არსებულ რესურსებს შეესაბამებოდეს:

„ჯერ უნდა მოაწესრიგონ ინფრასტრუქტურა და მერე უკვე იმის იქით იფიქრონ იმაზე, როგორ ჩაატაროს იმ ინფრასტრუქტურაში მასწავლებელმა გაკვეთილი“.

დაგეგმილი აქტივობის შესაბამისად აღჭურვილ საკლასო ოთახში გაკვეთილის ჩატარება პედაგოგებისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რადგან ასეთი ოთახი, ძირითადად, მხოლოდ ერთია სკოლაში და ეს აქტივობების დაგეგმვას ართულებს:

„ერთი პროექტორი გვაქვს და იმაზე რიგია. პრინტერიც ერთია, ვერ ვიყენებთ“.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილე ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ როცა ღია გაკვეთილს ატარებდა, ბევრი საჭირო ნივთი და აღჭურვილობა სახლიდან მოიტანა, რადგან სკოლას საკმარისი რესურსი არ ჰქონდა. ტექნიკური საშუალებების სიმწირეს ხაზი სხვა პედაგოგებმაც გაუსვეს:

„თითქმის ყველა სკოლაშია ეს პრობლემა. მე ჩემი პირადი კომპიუტერით დავდივარ. რესურსები აუცილებელია, რათა სქემაში ჩართულებმა თავისუფლად ვიმუშაოთ. ყველგან არის ასეთი გამოწვევები, ადამიანისთვის არაფერია მიუღწეველი, ტექნიკა მოგვარებადია, ალტერნატიული გზები შესაძლებელია და ამით უნდა გავიდეთ შედეგებზე“.

მასწავლებლების თქმით:

„ევროპული მოთხოვნაა და მიწოდება ქართული“.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა კიდევ უფრო მწვავეა რეგიონებში. **ქალაქისა და რეგიონის სკოლებს შორის რესურსები არათანაბრადაა გადანაწილებული.** რეგიონის სკოლებს არ აქვთ ინტერნეტი, ამიტომ იქაურ პედაგოგებს სიახლეებზე ხელი არ მიუწვდებათ:

„ინტერნეტი არის პრობლემა. სკოლაში ელ. ჟურნალი გვაქვს და ინტერნეტი არ გვაქვს. ჩვენ გვინდა გავაკეთოთ რამე, მაგრამ ღარიბი რესურსის გამო, ვერ ვახერხებთ“.

რადგან ინტერნეტთან წვდომა და მასალების მოძიება მათთვის პრობლემაა, პედაგოგები თითოეული აქტივობის დაგეგმვასა და მომზადებას მეტ დროს ანდომებენ. მათი აზრით, მთავარი გამოწვევა რეგიონისა და ქალაქის სკოლებისთვის ერთნაირი საწყისი პირობების შექმნაა.

„რა თქმა უნდა, რეგიონებში განსაკუთრებით ნაკლებად არის მოწყობილი საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიები, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება მიმდინარეობდა სათანადოდ, თუმცა რესურსები არ არის. ასე, რომ ნებისმიერი საგნის მასწავლებელი რესურსების ნაკლებობას განიცდის. უნდა იყოს ფინანსური მხარდაჭერა და, შესაბამისად - მოთხოვნაც აქტივობების. ასევე, კიდევ, კონფერენციებზე წასვლა არ ფინანსდება, საკუთარი ხარჯებით უწევთ მასწავლებლებს ეს ყველაფერი“.

მასწავლებლების თქმით, სიტუაცია კიდევ უფრო სავალალოა კონფლიქტის ზონაში მდებარე ან ზოგიერთი რეგიონის სკოლებში, სადაც სკოლას კარებიც კი არა აქვს. რა თქმა უნდა, ასეთ სკოლებში ახალი სტანდარტებით შიდა გაკვეთილების ჩატარება და დაკვირვება გაჭირდება. რეგიონის სკოლის პედაგოგებისთვის გამოწვევაა არა მხოლოდ დაგეგმილი ტრენინგების შესახებ შეტყობა, არამედ ამ ტრენინგებზე დასწრებაც, რადგან ტრენინგები, ძირითადად, დედაქალაქში იმართება.

– სკოლის მზაობა სქემის ადმინისტრირებისთვის

ადმინისტრირების თვალსაზრისით სკოლის მზაობაზე პედაგოგებმა სხვადასხვა მოსაზრებები გამოთქვეს. რამდენად ობიექტური და სამართლიანი იქნება შეფასების ჯგუფი? მის მიმართ მონაწილეების უმრავლესობა სკეპტიკურად აღმოჩნდა განწყობილი. მათ ეჭვი ეპარებათ შეფასების ჯგუფის წევრების კომპეტენციაშიც და ობიექტურობაშიც:

„შიდა შეფასების ჯგუფს რაც შეეხება, ხანდახან ფასილიტატორებს უმაღლესი განათლებაც არა აქვთ, ის პედაგოგებს, ცხადია, ვერ დაეხმარება“.

პედაგოგებს უჩნდებათ განცდა, რომ ადმინისტრაცია იქნება სუბიექტური და შიდა შეფასება, ძირითადად, პირად დამოკიდებულებებს დაეყრდნობა. ფიქრობენ, რომ შეფასების ჯგუფი ყოველთვის ობიექტური ვერ არის, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში იძულებულნი არიან, მინიმალური შეფასება დაწერონ. ამიტომ მონაწილეები უფრო გარე შეფასებას ემხრობიან. ზოგჯერ კი, პირიქით, პედაგოგები თვლიან, რომ შეფასების ჯგუფი ჩასაფრებულის პოზიციიდან აკვირდება მასწავლებლებს. დისკუსიის მონაწილეებმა ამ მხრივ უდიდეს გამოწვევად უკუკავშირისთვის მასწავლებლების არამზაობა დაასახელეს:

„პედაგოგებში მენტალობაა შესაცვლელი, შეცდომის აღიარება გვიჭირს და შენიშვნაც უნდა გავითვალისწინოთ. თუ შეფასების ჯგუფი გულმოდგინედ იმუშავებს, მაშინ ჯგუფის მუშაობას პრობლემა არ ექნება“.

დისკუსიისას პედაგოგთა ინფორმირებულობის საკითხიც გამოიკვეთა:

„დირექციაში არ იცის ბევრმა, რომ უნდა აიტვირთოს, რა აქვს შესაფასებელი. მე ვფიქრობ, რომ კრედიტ-ქულებზე ნადირობა მაინც უარყოფით ასახვას ნახავს საგაკვეთილო პროცესზე. ყველა ორიენტირებულია, რომ არ დაკარგოს ის სტატუსი, შეინარჩუნოს მაინც და მიტოვებს გვერდზე იმ მთავარს, რაც მართლაც მნიშვნელოვანია, რისთვისაც უნდა ვიმუშაოთ ჩვენ, რომ ამ მომავალს მივცეთ რაღაც ცოდნა, განვავითაროთ სხვადასხვა მეთოდებით. ეს, ფაქტობრივად, რჩება გვერდით“.

მსჯელობისას ფასილიტატორების როლი და დანიშნულებაც გამოიკვეთა. მასწავლებელთა უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ფასილიტატორების გამო. თვლიან, რომ ფასილიტატორები დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევენ:

„ჩავარდა ტრენინგ კურსი, რომლითაც ფასილიტატორები გადაამზადეს. ერთი ფასილიტატორი მომიყვანეთ და მითხრას, რა უნდა გააკეთოს“.

უფრო მეტიც, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ფასილიტატორები პედაგოგთა შეკითხვებს ვერ პასუხობენ: *„ჩემთვის ეგ არავის უთქვამსო“, - ამბობენ ისინი.* მასწავლებელთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ცვლილებები ისეთი სწრაფი ტემპით ხდება, რომ არათუ მასწავლებლები, არამედ შეფასების ჯგუფის წევრებიც ვერ ასწრებენ გაცნობიერებას, რა და როგორ უნდა გააკეთონ.

– პროფესიული განვითარების პროგრამები

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მონაწილეებმა განიხილეს, იყო იმ პროგრამების რელევანტურობა, რომელთა საშუალებითაც პედაგოგები კრედიტებს აგროვებენ:

„კრედიტის გარდა ვერანაირი ცოდნა ვერ მომცა ისეთმა ორგანიზაციებმა, რომელთაც აკრედიტებული პროგრამა აქვთ“.

როგორც რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, ისინი არააკრედიტებული ორგანიზაციებიდან უფრო მეტს იღებენ, ვიდრე აკრედიტებულიდან:

„სრული უიმედობა მაქვს. როდესაც მე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ვმუშაობ, იმათგან უფრო მეტ რამეს ვსწავლობ, ვიდრე სერტიფიცირებული ორგანიზაციებისგან“.

მონაწილეთა აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა აკრედიტებული პროგრამების დახვეწა და გამრავალფეროვნებაა:

„ცოტაა აკრედიტებული პროგრამა და გაცილებით მეტი შესაძლებლობა არსებობს, რომ მოხდეს აკრედიტაცია“.

– კლასების ზომა

დისკუსიის მონაწილეებმა დიდ კლასებში საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვის სიძნელეზეც ისაუბრეს. კლასში, სადაც 30 მოსწავლეა, რთულია, პედაგოგმა გაკვეთილისთვის განკუთვნილი დრო ოპტიმალურად გამოიყენოს და საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლე ჩართოს:

„ძირითადად, თეორიულ საკითხზე არის აქცენტი გაკეთებული და ის 45 წუთი არ არის საკმარისი, ცოდნა პრაქტიკაში გადმოიტანო“.

მონაწილეები უკმაყოფილონი არიან, რადგან საჩვენებელ გაკვეთილებსაც საშუალოდ 16 მოსწავლესთან ატარებენ.

– კოლეგიალური თანამშრომლობა

მონაწილეთა ნაწილს მიაჩნდა, რომ სქემამ კიდევ უფრო ღია გახადა კოლეგიალური სივრცე, მასწავლებელი კი - მეტად გახსნილი თავისი სამუშაოსა და კოლეგების მიმართ. თუმცა, როგორც ზოგიერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, თანამშრომლობის ნაცვლად სქემა პედაგოგებში დაპირისპირებას იწვევს, ხდება სტატუსებით პედაგოგების გარჩევა.

სქემის ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეები

პედაგოგთა თქმით, წინა სქემასთან შედარებით ახალი სქემა უფრო მობილურია. გარდა ამისა, იგი მოდუნების საშუალებას არ აძლევს უფროს მასწავლებელსაც. თუ ადრე მასწავლებლის ერთადერთი მოტივაცია უფროსი მასწავლებლის სტატუსის მიღწევა იყო, ახლა უკვე უფროსი მასწავლებელიც მუდმივად ახლის ძიებაშია, რაც შემდგომ სწავლების ხარისხზე აისახება. პედაგოგების უმრავლესობა არ ეთანხმება სქემაში შეტანილ ცვლილებებს **პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მუდმივად შენარჩუნების შესახებ**:

„არ მომწონს ერთი რამ, რომ პრაქტიკოს მასწავლებელს აქვს უფლება, დარჩეს იმავე პოზიციაზე ისე, რომ არაფერი აკეთოს. ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს სქემაში. წლის განმავლობაში რაღაც გააკეთონ და შედეგი დადონ ამ პედაგოგებმა, გულხელდაკრეფილი ნუ იქნებიან“.

პედაგოგებმა აღნიშნეს ისიც, რომ სქემის მთავარი უპირატესობა **მასწავლებ-**

ლების საქმიანობის გააქტიურებაა. თუმცა იყვნენ ისეთი მონაწილეებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ პროფესიული თვალსაზრისით, სქემა პედაგოგზე გავლენას არ ახდენს. მათი აზრით, სქემა არ ზრდის პედაგოგს და იგი ისეთივე რჩება, როგორიც იყო სქემამდე.

პედაგოგების უმრავლესობის აზრით, განათლების სექტორში მიმდინარე **პროცესებს სტაბილურობა აკლიათ**, რადგან მეტწილად ახალ მინისტრს ახალი პროექტი მოაქვს. ამიტომ პედაგოგები ყოველ წელს მოლოდინის რეჟიმში არიან; ელიან, რომ რაღაც შეიცვლება და იძულებულნი ხდებიან, ცვლილებებს მოერგონ:

„მასწავლებლები სქემაში ჩართვის შემდეგ უფრო მეტად გახდნენ ორიენტირებული იმ აქტივობებზე, რომელიც სქემით არის მოთხოვნილი. თუკი სქემით ვთხოვთ გარე აქტივობას, ეს ნიშნავს, რომ მასწავლებლის მხრიდან დიდი დრო იქნება მიმართული გარე აქტივობაზე. მასწავლებელი რეალურად გახდა სქემაზე ორიენტირებული. როგორც შეიცვლება სქემა, ისე წავა მასწავლებლის საქმიანობა“.

მონაწილეთა თქმით, მთელი წლის განმავლობაში კოორდინაციის ნაკლებობა იყო და მუდმივად მოლოდინის რეჟიმში მყოფებს კრიტერიუმებიც დაგვიანებით წარუდგინეს. ამიტომ პედაგოგების ნაწილმა სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება ვერ შეძლო. მათ აღნიშნეს, რომ მიუხედავად მცდელობისა, განათლების სისტემა იყოს დეცენტრალიზებული, ის მაინც ბიუროკრატიულია და მუდმივი რეფორმა სისტემის გამართულად ფუნქციონირებას უშლის ხელს.

მასწავლებლებისთვის ძირითადი სასაუბრო თემა **კრედიტ-ქულების დაგროვებაა**, რადგან თვლიან, რომ ხშირ შემთხვევაში კრედიტების განაწილება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას არ შეესაბამება და ეს მოტივაციას უკარგავს მათ:

„სოციალური პროექტი ფასდება 0.5 კრედიტით. თითქოს მოტივაცია უნდა იყოს, მე პირიქით დამემართა“.

პედაგოგები გამუდმებით სვამენ შეკითხვას: „კრედიტ-ქულა მომეცემა„? ზოგიერთი მონაწილის თქმით, ისინი პროფესიულ ასოციაციებში აქტიურად არიან ჩართული მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტივობისთვის მათ კრედიტ-ქულა არ ენიჭებათ:

„ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ასოციაციაში. იქ კრედიტ-ქულისთვის არ დავდივართ, მაგრამ ძალიან დიდ ცოდნას ვიღებთ. მასწავლებელს არჩევანი უნდა ჰქონდეს უფრო თავისუფალი“.

მეორე მხრივ, პედაგოგები აღნიშნავენ, რომ კრედიტ-ქულების დაგროვების მიზნით სავალდებულოა, დაესწრონ იმ ტრენინგებს, რომლებიც უკვე არაერთხელ გაიარეს:

„კრედიტ-ქულის გამო არ შეიძლება ისეთი ტრენინგები გაგვატარონ, რომელიც უკვე გავლილი მაქვს წლების წინ, რატომ უნდა წავიდე ისეთ ტრენინგზე, რომელიც აღარაა საინტერესო?“.

პედაგოგებისთვის მიუღებელია ისიც, რომ როცა ისინი პროფესიული განვითარების მიზნით კონფერენციასა თუ ტრენინგს საგაკვეთილო დროის ხარჯზე ესწრებიან, მათ დღიური ხელფასი აკლდებათ.

კერძო სკოლის პედაგოგები კი ეწინააღმდეგებიან იმას, რომ კრედიტის მინიჭება საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლებისთვის განსხვავებულად ხდება, თუმცა მათი ანაზღაურება, ფაქტობრივად, ერთნაირია:

„ჩემი ტკივილია, რომ კერძო სკოლის მასწავლებელი ვარ. მე არ მეხება არც ერთი ტრენინგი, თუ მინდა მონაწილეობა მივიღო ტრენინგში, აუცილებლად ფული უნდა გადავიხადო ამაში. ყველაზე ცოტა გვაქვს კერძო სკოლის მასწავლებლებს ხელფასი“.

პედაგოგები უკმაყოფილებას იმის გამოც გამოთქვამდნენ, რომ წინა სქემით განსაზღვრულ ზოგიერთ აქტივობას ახალი სქემის მიხედვით კრედიტ-ქულა არ ენიჭება:

„ძველ სქემაში გაცილებით მეტი გავაკეთე, ვიდრე ახალში. ჩვენ არ ვთვლით, რომ მან რაიმე ახალი მისცა სკოლას, მასწავლებელს და მოსწავლეს. ვინც რაღაცას აკეთებდა, ის ისევ აკეთებს. ვინც არაფერს აკეთებდა, ისევ არაფერს აკეთებს. მასწავლებელი შეზღუდულია. რომელი აქტივობა უნდა განახორციელოს მასწავლებელმა? სქემით ეს ნაწილი შეზღუდულია. ის აქტივობა შესაძლებელია მეტის მიმცემი იყოს მოსწავლისათვის, რაც არ ფასდება სქემით, ხოლო რაც ფასდება, მას ჰქონდეს ნაკლები მნიშვნელობა“.

აქტივობების მხრივ შეზღუდულობას დისკუსიის მიმდინარეობისას ბევრმა მონაწილემ გაუსვა ხაზი. რამდენიმე პედაგოგმა აღნიშნა, რომ ტერმინი „ინოვაცია“ მასწავლებლებს სწორად არ ესმით:

„მასწავლებელი არის თავისუფალი და მასწავლებელი არის შეზღუდული. შეზღუდული, რადგან მე აღარ შემიძლია გავიმეორო საინტერესო აქტივობა, რომელიც უკვე შევქმენი. კარგი იქნება თუ განისაზღვრება ტერმინი „ინოვაცია“ ზუსტად, რა არის განსაზღვრული, რადგან დადგინდეს საბოლოოდ როგორი ტიპის აქტივობას გულისხმობენ, რომ არ მოხდეს მასწავლებლის ჩიხში შეყვანა. ზოგიერთ მასწავლებელს ჰგონია, რომ გააკეთა რაღაც ახალი და არადა, არაა სწორად განსაზღვრული“.

პედაგოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ სქემაში ჩართვის შემდეგ, შეიძლება, ვერ მოხვდნენ სხვადასხვა ფორუმსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებზე საზღვარ-

გარეთ, რადგან ასეთი აქტივობებისთვის მათ არც კრედიტ-ქულა ენიჭებათ და დროის თვალსაზრისითაც არათავსებადია სქემასთან:

„მიმაჩნია, რომ არჩევანი მასწავლებელს უნდა მიენიჭოს, თუ რომელი ორგანიზაციის ტრენინგებს დაესწროს და რა პროექტებში მიიღოს მონაწილეობა“.

პედაგოგების ნაწილმა **სერტიფიცირების** პრობლემაზეც ისაუბრა. მათი აზრით, სქემა ვერ ითვალისწინებს, რომ ზოგიერთი სერტიფიცირებული მასწავლებელი, შესაძლოა, არ იყოს ისეთივე კარგი გაკვეთილზე, როგორც არასერტიფიცირებული:

„არიან სერტიფიცირებული მასწავლებლები, რომლებსაც გაკვეთილი არ გამოსდით. ერთ დღეში დადგამენ ისეთ სპექტაკლს, მაგრამ მთლიანობაში ის საგანში შედეგს არ გვაძლევს. სქემამ როგორ უნდა გამორიცხოს„?

ზოგიერთმა მონაწილემ კი ღიად ისაუბრა იმაზე, რომ სკოლებში სერტიფიცირებულ და არასერტიფიცირებულ პედაგოგებს შორის დაპირისპირებაა:

„სერტიფიკატებით ბრძოლა ცოტა შეურაცხმყოფელია ჩემთვის“.

ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ სკოლები და პედაგოგები (ნაწილი) სქემისთვის მზად არ არიან. განსხვავებული აზრი გამოთქვა მასწავლებლების ნაწილმა. მათი აზრით, სქემა კონკურენტული გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს:

„ამ კუთხით არის კონკურენცია კოლეგებს, სკოლებსა და მოსწავლეებს შორისაც, ესაა ჯანსაღი კონკურენცია“.

მონაწილეების აზრი ორად გაიყო **საგაკვეთილო დაკვირვებასთან** დაკავშირებითაც. პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ მასწავლებელი საგაკვეთილო დაკვირვებისთვის წინასწარ ემზადება და საგაკვეთილო დროს უთმობს მას. საბოლოოდ კი გაკვეთილი წინასწარ კარგად მომზადებული, დაგეგმილი და დადგმული „სპექტაკლი“ გამოდის. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მოსწავლეებმა იციან, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი გაკვეთილები პედაგოგებისთვის:

„რაც შეეხება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, როცა მასწავლებელი ემზადება შიდა საგაკვეთილო დაკვირვებისთვის, ბავშვები ამას ადვილად ხვდებიან და კითხულობენ: ,,მასწავლებელო, თქვენ ამაში ქულას იღებთ„? შეიძლება, ასეთი გაკვეთილები ერთხელ, ორჯერ ანდა ერთი თვის მანძილზე დადგა სპექტაკლის სახით, მაგრამ ბავშვები ჩამორჩებიან ოფიციალურ გასავლელ მასალას“.

მასწავლებელთა მეორე ნაწილი არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ საჩვენებელი გაკვეთილი დადგმული „სპექტაკლია“ და დროის დამატებით რესურსს საჭიროებს. მიუხედავად ამისა, მონაწილე პედაგოგები იზიარებდნენ იმ აზრს, რომ დაკვირვება წინასწარი გაფრთხილების გარეშე უნდა მოხდეს:

„დადგმული „სპექტაკლი“ არც ერთი გაკვეთილი არ არის. არ ვთვლი, რომ ერთი საჩვენებელი გაკვეთილი რომ ჩავატარო, ამისათვის დიდი მომზადება მჭირდება. იმ აზრს ვეთანხმები, რომ პედაგოგი უნდა შემოწმდეს; როდესაც კარს შეუღებ გაკვეთილზე, კარგად ჩანს, რას აკეთებს იგი. ამიტომ არ ვფიქრობ, რომ საჩვენებელი გაკვეთილი სტრესია პედაგოგისათვის... მოსწავლეებიც ხომ აუდიტორიაა ჩვენთვის, რომელთა წინაშეც ჩვენ ყოველდღიურად გამოვდივართ, ვასწავლით და სიახლეებს ვაწოდებთ“.

დისკუსიის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარება აღარ იყოს სავალდებულო და დაკვირვება შემთხვევითი პრინციპით მოხდეს. ამ შემთხვევაში საგაკვეთილო პროცესის უფრო ობიექტური და ზუსტი სურათი გვექნება და პედაგოგიც უფრო მობილიზებული იქნება.

სქემის ნაკლოვანებების განხილვისას მასწავლებლებმა კვლავ სავალდებულო აქტივობებით განსაზღვრულ რუტინულ საქმიანობას გაუსვეს ხაზი. მათი აზრით, **თვითშეფასების კითხვარი** უბრალო ფორმალობაა და პედაგოგებს არაფერს აძლევს. უფრო მეტიც, როგორც ამბობენ, მასწავლებლები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის შევსებული კითხვარებით სარგებლობენ.

დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სქემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებად საგნის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობას თვლიან. თითოეულ საგანს განსხვავებული სტილის აქტივობები სჭირდება, რაც სქემაში ასახული არ არის:

„მხოლოდ სქემაში ჩართულობა ვერ დაეხმარება ისტორიის მასწავლებელს, თუ მას ფართო დიაპაზონი არა აქვს, თუ ვერ ახერხებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას. მან ბევრი უნდა იფიქროს და ბავშვებს ასწავლოს ფიქრი. სქემაში ჩართულობა არის ორიენტირი, მაგრამ სილრმისეული ცოდნა უფრო სხვა გზით მიიღწევა“.

მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ სქემა მათ ყოველდღიურ საქმიანობასთან თავსებადი არ არის, რადგან პედაგოგებს მუდმივად უწევთ დოკუმენტაციის შევსება და კომპიუტერიდან მუშაობა. ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ შრომის უფლებები ირღვევა. ახალ საფეხურზე გადასასვლელად ისინი ისეთ აქტივობებში ერთვებიან, რომლებიც დროის დიდ რესურსს მოითხოვს:

„არასამუშაო საათები და დასვენების დღეები, დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე ტრენინგები და თან ანაზღაურების გარეშე“.

მონაწილეებმა კრიტიკულად ისაუბრეს ხარისხის გაუმჯობესების სხვა გზებზეც, მაგალითად: დოქტორის ხარისხის მოპოვებით ანდა მინისტრის მიერ მინიჭებით განსაკუთრებული შემთხვევისათვის:

„ის, ვინც არაფერი გააკეთა და მხოლოდ დოქტორის ხარისხი აქვს, რამდენად ადექვატურია და რამდენად ჯობია პრაქტიკოს პედაგოგს“?

მონაწილეები ასევე არ ეთანხმებიან იმას, რომ უფროსი მასწავლებლის კატეგორიიდან წამყვანზე გადასასვლელად აუცილებელია კვლევის ჩატარება. მათ არ იციან კვლევის წარმოების სპეციფიკა და ამისათვის დამატებითი ტრენინგები სჭირდებათ, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდ დროით რესურსს მოითხოვს:

> *„უფროსიდან წამყვანობაზე რომ გადახვიდე, მთავარი არის კვლევა. შემდეგ გარე დაკვირვება. ეს კვლევა რომ გააკეთოს ადამიანმა, კურსი უნდა გაიაროს. ყველას არ აქვს ის ფუფუნება, რომ სამდღიანი კურსი მაინც გაიაროს“.*

ზოგიერთი მონაწილის აზრით, კვლევის ჩატარება ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

პედაგოგები სქემის მთავარ ნაკლოვანებად მიიჩნევენ იმას, რომ იგი **მასწავლებლის სტაჟსა და გამოცდილებას** არ ითვალისწინებს. მათი აზრით, მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის გამოცდილება სქემაში უნდა იყოს გათვალისწინებული. ისინი თავიანთი საქმიანობის დაფასებას მოელიან, სხვა შემთხვევაში სკოლაში დარჩენის სტიმული აღარ აქვთ. ერთ-ერთმა პედაგოგმა აღნიშნა, რომ სურდა სკოლიდან წასვლა, რადგან წინა წლების აქტივობები წყალში ჩაეყარა და გამოცდაზე გასვლა უხერხული იყო მისთვის. მონაწილეთა თქმით, პედაგოგი, რომელიც 30 წლის განმავლობაში სკოლაში მუშაობდა, არ შეიძლება გადაფასდეს - მისი პროფესიონალიზმის შეფასება თავიდან არ უნდა ხდებოდეს. ამ აზრს არ დაეთანხმნენ დისკუსიის სხვა მონაწილეები და განაცხადეს, რომ მასწავლებელს მუდმივად თვითგანვითარება სჭირდება, რადგან საზოგადოება ვითარდება, იცვლება. მოსწავლეებსაც ახალი სტანდარტები აქვთ - რასაც მათ წლების წინ ასწავლიდნენ, უკვე აღარ ადგებათ. სწავლების მეთოდებიდან გამომდინარე იცვლება სასწავლი მასალაც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სქემის მიღმა დარჩა, **ინკლუზიური განათლებაა**. სპეცმასწავლებლებს რესურსებზე ხელი არ მიუწვდებათ, სქემა მათზე ადაპტირებული არ არის. პედაგოგები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამოც, რომ შესაფერისი სახელმძღვანელოები არა აქვთ და არც მათი საქმიანობა ფასდება შესაბამისი კრედიტ-ქულით:

> *„უნდა იყოს მეტი კრედიტ-ქულა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობისთვის, რადგან ძალიან ძნელია, კლასში ერთდროულად იმუშაო სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან“.*

რეკომენდაციები და გაუმჯობესების გზები

ფოკუს-ჯგუფების დასკვნით ნაწილში მონაწილე პედაგოგებმა სქემისა და, ზოგადად, განათლების სისტემის გაუმჯობესების გზებზე იმსჯელეს. პედაგოგების ნაწილის მოსაზრებით, მთავარი პრობლემა თვითონ **განათლების სისტემაშია**. მათ მიაჩნიათ, რომ სერტიფიკატების ნაცვლად, კარგი იქნება, თუ წარმატებული პედაგოგები საზღვარგარეთ გაემგზავრებიან და უცხოურ გამოცდილებას გაიზიარებენ. საჭიროა მასწავლებლების გა-

დამზადება. გადამზადებული პედაგოგები კი, თავის მხრივ, სხვა პედაგოგებსაც გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და ტრენინგებს ჩაუტარებენ მათ.

– სქემის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული კომპეტენციები

პედაგოგების ნაწილი მიიჩნევს, რომ შეფასების ჯგუფთან და ფასილიტატორებთან დაკავშირებით ბევრი რამ დასახვეწია და მათ კომპეტენცია აკლიათ:

„მასწავლებლები ხშირად მოდიან ჩემთან, როგორც სასწავლო ნაწილთან. ამაზე კი ფასილიტატორები არიან პასუხისმგებლები. მე გადავამისამართებ ფასილიტატორთან, ისინი ისევ ჩემთან. მართლა ქაოსია. გადასახედია ფასილიტატორების დანიშვნა“.

პედაგოგების თქმით, გადამზადება სკოლის დირექტორებსაც სჭირდებათ, რათა მათ არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენება შეძლონ და ასევე - სკოლის ადმინისტრაციულად გამართვა ისე, რომ მიუკერძოებელ და გამჭვირვალე შეფასებებს შეუწყონ ხელი.

– შრომის ანაზღაურება და სკოლის დაფინანსება

მართალია, სქემით გათვალისწინებული სტატუსის მატება სასიამოვნოა და პედაგოგების პრესტიჟს ამაღლებს, მაგრამ მონაწილეთა აზრით, სტატუსი შესაბამის ანაზღაურებაშიც უნდა გამოიხატებოდეს:

„მასწავლებელს უნდა მიეცეს საშუალება, არ იფიქროს, დღეს სახლში რა მიიტანოს და წყნარად იმუშაოს“.

პედაგოგებს მიაჩნიათ, რომ **ანაზღაურების გაზრდით** მოგვარდება განათლების სისტემაში არსებული კიდევ ერთი პრობლემა - კერძო რეპეტიტორობა:

„უნდა კარგი ხელფასი, რომ არ იცუღლუტოს პედაგოგმა, არ მოაკლოს ის დრო იმ ბავშვებს, ვის ზეც პასუხისმგებლობა აქვს აღებული და მერე სახლში არ გაიქცეს და კიდევ ვიღაცები მიიღოს მოსამზადებლად“.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დისკუსიის მონაწილეებმა წამოწიეს, სკოლების დაფინანსების გზებია. მათი აზრით, დაფინანსება მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით არ უნდა განისაზღვრებოდეს - ეს არაობიექტურს ხდის მოსწავლეების შეფასების პროცესს:

„მასწავლებლები რეალური ნიშნის წერას ერიდებიან, იციან, რომ მშობელი წაიყვანს ბავშვს სხვა სკოლაში და ამით სკოლა დაკარგავს ვაუჩერს“.

– პედაგოგების ჩანაცვლება

სქემა კადრების გადინებას არ ითვალისწინებს. პირველ რიგში, ეს იმითაა გამოხატული, რომ პრაქტიკოს მასწავლებლებს მუდმივად შეუძლიათ სტატუსის შენარჩუნება. მეორე მხრივ, სქემა არც მასწავლებლების დათხოვნას ითვალისწინებს. პედაგოგებმა ისაუბრეს იმაზეც, რომ განათლების სისტემის განვითარებისთვის აუცილებელია ახალგაზრდა კადრების შემოდინება. ამისთვის კი ასაკოვანი კადრების გადინებაა საჭირო. მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ ამ პრობლემას შესაბამისი პენსია მოაგვარებს:

„სჯობს, დაემშვიდობონ იმ პედაგოგებს ღირსეულად, რომელთაც აღარ შესწევთ გაკვეთილის ჩატარების უნარი. დააფასონ ეს ადამიანები და მისცენ შესაბამისი პენსია“.

– სტატუსის მინიჭება და კრედიტების დაგროვების სისტემა

მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ პედაგოგის პროფესიული გამოცდილება და სტაჟი აუცილებლად სტატუსით უნდა აისახოს. გარდა ამისა ფიქრობენ, რომ საჭიროა გაიზარდოს კრედიტ-ქულების რაოდენობა ისეთ დამატებით აქტივობებზე, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური და სასწავლო პროექტები - 0.5-0.5 ქულა ძალიან ცოტაა. პედაგოგებს უჩნდებათ განცდა, რომ ეს მასწავლებლის ჩამოქვეითებისთვისაა დაგეგმილი. უფრო მეტიც, 0.5 ქულას იღებს ის მასწავლებელიც, რომელიც ტრენინგებსაც ატარებს. ეს კრედიტ-ქულა კი არ შეესაბამება იმ ძალისხმევასა და დროს, რომელსაც პედაგოგი ტრენინგის მოსამზადებლად ხარჯავს. ასევე ისინი თვლიან, რომ კრედიტ-ქულას ასოციაციებში ჩართულობა და ყველა იმ ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული მომსახურებაც უნდა აძლევდეთ მათ, რომლებიც პედაგოგის პროფესიულ განვითარებასა და წინსვლას ემსახურებიან.

– ხელშეწყობა პროფესიულ განვითარებაში

სქემის გაუმჯობესების ერთ-ერთ წინაპირობად პედაგოგები განათლების სამინისტროს მხრიდან ტრენინგების ორგანიზებას მიიჩნევენ, რადგან არსებული ტრენინგები მასწავლებლების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. საჭიროა, მასწავლებელს მეტი არჩევანის საშუალება ჰქონდეს და კრედიტ-ქულები სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სასარგებლო ტრენინგებშიც მიიღონ. სქემაში ჩართულ პედაგოგებს ეს სწორი მიმართულებით განვითარებაში და საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში დაეხმარება. აუცილებელია, ასევე, პედაგოგთა ინფორმირებულობა. მონაწილეებმა უკმაყოფილება მასწავლებელთა სახლის ცხელი ხაზის მიმართაც გამოთქვეს, რადგან ხშირ შემთხვევაში არასწორად ხდება მათი გადამისამართება.

– რესურსებით უზრუნველყოფა

დისკუსიის მონაწილენი სკოლების სათანადო ტექნოლოგიებით აღჭურვის აუცილებლობასაც უსვამენ ხაზს:

„ჩვენ გვჭირდება ტექნოლოგიები, რათა წარმატებულები ვიყოთ. სკოლაში ამ კუთხით რიგში ვდგავართ, რადგან ერთი კაბინეტია აღჭურვილი და ამ პროცესში მოტივაცია ნელდება. სკოლებმა უნდა იზრუნონ, რომ რამდენიმე კაბინეტი გაიხსნას“.

სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია საგნობრივი თანხვედრა, რათა მოსწავლეებმა სხვადასხვა საგნებში მიღებული ცოდნა შეივსონ:

„კიდევ უფრო თანხვედრაში უნდა იყოს პროგრამულადაც ფიზიკა მათემატიკასთან; თუნდაც არის ისეთი საკითხები, რომ ზოგან წინ ისწავლება - ნოემბერში - და ზოგან - მარტში. ასე, რომ თანხვედრაშიც არ არის და პარალელებს ვერ ავლებენ“.

– მასწავლებლის შეფასება

შეფასებისა და ფასილიტატორების კომპეტენციისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ შეფასების პროცესში ერთი მოწვეული და ერთიც საგნის ექსპერტი უნდა ჩაერთოს, რათა პედაგოგის შეფასება როგორც მეთოდოლოგიური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით მოხდეს:

„მირჩევნია, ჩემმა მეთოდისტმა შემაფასოს, ვისაც ესმის ჩემი საგანი“.

პედაგოგების ნაწილის სურვილია, რომ აღარ არსებობდეს თვითშეფასების კითხვარი და სამოქმედო გეგმა, რადგან თვლიან, რომ ეს რუტინული და არაფრისმომცემი საქმიანობაა და დიდ დროს მოითხოვს. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა პედაგოგები ერთმანეთისგან იწერენ. მონაწილეთა აზრით, მასწავლებლის საზომი უნდა იყოს მოსწავლე და მისი შედეგები, რადგან მათ წარმატებაში ისინი ბევრ დროსა და ენერგიას დებენ. პედაგოგთა ნაწილი მოსწავლეთა ანონიმური გამოკითხვის შეფასებას ემხრობა, რადგან თვლიან, რომ მოსწავლემ უკეთ იცის, რამდენად კარგი და გასაგებია ამა თუ იმ მასწავლებლის სწავლების მეთოდები. პედაგოგები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ თითოეულ სკოლას კონსულტანტი მიემაგროს, რომელიც სქემის გარშემო დროდადრო კონსულტაციას გაუწევს პედაგოგებს.

საჭიროა, კითხვა სწორი მიმართულებით დაისვას: რა არის პრიორიტეტი? პედაგოგების აზრით, არის საგნები, სადაც რაოდენობრივი ცოდნა უფრო მნიშვნელოვანია; მიიჩნევენ, რომ პროექტის განხორციელება, შეიძლება, ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის; სქემის გამართულად და ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, მიმდინარე პროცესები უფრო გამჭვირვალე იყოს და პედაგოგებს რაციონალური მოლოდინები ჰქონდეთ - იცოდნენ, რას აკეთებენ და რა იქნება შედეგი; გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასწავლებლები უშუალოდ უნდა მონაწილეობდნენ; წინასწარი განხილვა ცვლილებებამდე უნდა მოეწყოს და არა - მათი მიღების შემდეგ. ცვლილებების გაცნობა კი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოხდეს.

შეჯამება

ამრიგად, წინამდებარე კვლევაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში შეტანილი ცვლილებების შესახებ პედაგოგთა შეფასებებია წარმოდგენილი. დისკუსიაზე ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა, მაგალითად: თუ მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ სქემა მასწავლებლისთვის მოტივატორია, ნაწილი მიიჩნევს, რომ მასწავლებლებს არ აქვთ მოტივაცია და ინერტულად არიან განწყობილნი. განხილული პრობლემებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის დაბალი დონე; პედაგოგების არაინფორმირებულობა მიმდინარე პროცესებზე; შეფასების ჯგუფის კომპეტენციის საკითხი და ტრენინგების ხელმისაწვდომობა და არარელევანტურობა.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგები ხედავენ პროგრესს. ისინი თვლიან, რომ სქემას აქვს ნაკლოვანებები, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯია. ღირებულებები შეიცვალა, ასევე - სწავლების სტილიც; მოხდა პედაგოგების ჩართვა სხვადასხვა ასოციაციებში და აქტივობებში - ყველაფერი ეს კი კარგის საწინდარია. თუმცა, შემდგომი განვითარებისთვის კვლავაც ბევრი ცვლილებაა საჭირო. სქემის მიზნის შესასრულებლად აუცილებელია, რომ იგი განათლების ქართულ სისტემასა და სკოლების რესურსებს მოერგოს.

კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველო“

კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველო“ 2013 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა. მასში გაწევრიანებულია განათლების სფეროში მოღვაწე 15 სხვადასხვა თემატური პროფილის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც იზიარებენ ,,განათლება ყველასათვის“ მსოფლიო დეკლარაციის პრინციპებს. კოალიცია ადვოკატირებას უწევს ,,განათლება ყველასათვის“ მიზნების განხორციელებას საქართველოში. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ წვდომას ჩვენს ქვეყანაში. კოალიცია სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო მოძრაობის გლობალური კამპანია - განათლებისთვის წევრია. საერთაშორისო კოალიციის მისიაა ზეგავლენა მოახდინოს მთავრობაზე, რათა მათ უზრუნველყონ თითოეული ადამიანის უფლების რეალიზება მიიღოს ხარისხიანი განათლება. მოძრაობა მოქმედებს იუნესკოს ეგიდით, განათლება ყველასათვის დეკლარაციის ფარგლებში (www.campaignforeducation.org). კოალიცია „განათლება ყველასათვის - საქართველო„ საქმიანობას ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.